პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 მაისი ოთხშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 119 (15029)

არჩევნებისათვის მზადებას — ფართო გაქანება!

ცულ უფრო მკაფიოდ კაშკაშებენ აგიტპუნქტებისა და ამომრჩეველთა კლუბების ჩირაღდნები. სტუმართმოყვარულად იღება მათი კარიც, ყოველთვის ხალხმრავლობაა ამ აგიტპუნქტებსა და ამომრჩეველთა კლუბებში, რომლებიც მიმზადდებიან არჩევნებისათვის. ხალხმა დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა თავისი ყველაზე საუკეთესო შვილები — მოწინავე მშრომელები, ავტორიტეტიანი საზოგადო მოღვაწენი, სხვადასხვა ეროვნების, ასაკისა და პროფესიის ადამიანები, კომუნისტები და უპარტიოები.

მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ იგი ტარდება პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით. დღითიდღე იზრდება რესპუბლიკის მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა, ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები გულმხურვალედ გამოეხმაურნენ მოსკოველთა თაოსნობას და იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი, რომელთა მიზანია მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულება, პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელება. ჭალაკს მხარს აძლევს ხოფელი.

საარჩევნო კამპანია დამამთავრებელ ფაზაში შედგა. დამთავრდა დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია, დაიწყო წინასაარჩევნო კრებები, მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატებთან ამომრჩეველთა შეხვედრები, გაჩაღდა ფართო აგიტაცია დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ. ამიტომ ახლა, როცა არჩევნებამდე მხოლოდ თვრამეტი დღე დარჩა, ამოცანა ის არის, რომ დროის ეს მონაკვეთი უფრო ნაყოფიერად გამოვიყენოთ ამ მნიშვნელოვანი მოვლენისათვის მოსამზადებლად. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ისე წარმართონ ადგილობრივი საბჭოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, მთელი საზოგადოების საქმიანობა, რომ არჩევნებისათვის შზადება ყველგან ზუსტად და ორგანიზებულად მიმდინარეობდეს.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს არჩევნებისათვის მზადების დიდი გამოცდილება აქვთ. ახლა ისინი წარმატებით იყენებენ ამ გამოცდილებას. მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების საარჩევნო უბნები მახობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრებად გადიქცნენ. აქ მოქმედებაში მოჰყავთ პოლიტიკური აგიტაციის საშუალებათა მთელი არსენალი. კულტურის სახახლეების, აგიტპუნქტების, ამომრჩეველთა კლუბებისა და წითელი კუთხეების ჩირაღდნები ამომრჩევლებს იწვევენ ლექციებსა და მოხსენებებზე, გულითად საუბრებზე, დეპუტატობის კანდიდატებთან, ხელმძღვანელ ამხანაგებთან, ვეტერანებთან შეხვედრებზე, კითხვა-პასუხის, თემატურ და დასვენების საღამოებზე, ზეპირ ჟურნალებზე.

განსაკუთრებული გამოცოცხლებაა ახლა დედაქალაქის ორჯონიკიძის რაიონში, რომელმაც წინა არჩევნებიდან გასული ოთხი წლის მანძილზე შეხამჩნევად იცვალა სახე, კიდევ უფრო აშენდა და დაშენდა, მრავალმა ათასმა კაცმა ახალმოსახლეობა იზეიმა. ცხარე დღეები აქვთ ამ რაიონის მუდმივმოქმედ აგიტპუნქტებსა და ამომრჩეველთა კლუბებს, რომლებიც შინაარსით ღონისძიებებს ახორციელებენ. აქტიურად მოქმედებენ პროპაგანდისტები, პოლიტინფორმატორები და აგიტატორები. ამ მრავალმხრივ მუშაობას ხელმძღვანელობს და წარმართავს პარტიის რაიონული კომიტეტი, რომელსაც მუდმივად ეხმარება ფართო აქტივი.

მაიაკოვსკის რაიონში არჩევნებთან დაკავშირებით დამატებით შეიქმნა ამომრჩეველთა ოთხი კლუბი. ახალი კლუბების ჩირაღდნები აინთო სოფელ დიმის სეირდლოვის სახელობის კოლმეურნეობაში, სოფელ წულალოშუას რვაწლიან სკოლაში, № 10 ხაგზაო-საეკსკურსიო უბანში და რაიონის ხატუეო მეურნეობაში. ახლა რაიონის ამომრჩეველთა შორის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა 16 აგიტპუნქტი, ამომრჩეველთა 17 კლუბი და 28 აგიტკოლექტივი, რომელთა გარშემო 500-ზე მეტი აგიტატორი და პოლიტინფორმატორია შემოკრებილი.

ყოველივე ეს კარგია, მაგრამ რედაქციაში შემოსული სიგნალები იმასაც ცხადყოფენ, რომ წინასაარჩევნო კამპანიის ამ გადამწყვეტ ეტაპზე ყველგან როდი ცდილობენ ქმედითად გამოიყენონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მთელი არსენალი. ზოგან ამომრჩეველთა კლუბი და საარჩევნო უბანი ჯეროვნად არ არის გაფორმებული, ზოგიერთ კლუბსა და კულტურის სახლში, წითელ კუთხეში არ ხორციელდება ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ აღძრან მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესი, არ წარმოებს ამომრჩეველთა წინადადებებისა და მოთხოვნების აღრიცხვა.

ეს ცხადყოფს იმას, რომ პარტიის ზოგიერთი ხაქალაქო და რაიონული კომიტეტი არასაკმაოდ ხელმძღვანელობს საარჩევნო კამპანიას, ღრმად ვერ სწვდება საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების, ამომრჩეველთა კლუბების, აგიტკოლექტივებისა და პოლიტინფორმატორთა ჯგუფების მოღვაწეობას, არ უწევს მათ ყოველდღიურ დახმარებას.

აგიტპუნქტებსა და ამომრჩეველთა კლუბებს პოლიტიკურ და კულტურულ ღონისძიებათა მოწყობის დიდი შესაძლებლობანი აქვთ, თუ კი პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად დაეხმარებიან მათ მუშაობაში. აგიტაციაში მთავარია მისი იდეური დონე, კონკრეტულობა, ქმედითობა, მასებში მთელი პოლიტიკური მუშაობის შინაარსი მიმდინარე ეტაპზე მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ სკკპ XXIV ყრილობის დოკუმენტების პროპაგანდას და მისგან გამომდინარე იმ კონკრეტულ ამოცანებს, რომლებსაც წყვეტს თვითეული შრომითი კოლექტივი.

წინასაარჩევნო კამპანიაში დიდი ადგილი უნდა დაიკავოს დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაციამ. ამომრჩევლებს გასაგებად, მკაფიოდ უნდა მოვუთხროთ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში ხალხის წარსაგზავნთა ცხოვრებისა და მოღვაწეობაზე, რადგან თვითეული მათგანის მიერ განვლილი გზა, სულიერი სახე ცოცხალი დადასტურებაა იმ დიადი გარდაქმნებისა, რომლებიც თვითეულ რაიონში, ქალაქში, სოფელში, მთლიანად ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელდა პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით.

არჩევნებისათვის მზადება — ეს საბჭოების, მათი აღმასრულებელი ორგანოებისა და ცალკე თვითეული დეპუტატის მუშაობის სახალხო დათვალიერებაა. წინასაარჩევნო კრებებზე, შეხვედრებისა და საუბრების მსველელობაში, პრესაში მშრომელები აღაპარაკებენ არა მარტო მიღწევებზე, არამედ ხარვეზებზეც, გამოთქვამენ თავიანთ შენიშვნებსა და წინადადებებს, გამოავლენენენ გამოუყენებელი რეზერვებს წარმოების ეფექტურობის ასამაღლებლად, განაწყნეს მისაცემენ ხალხის მომავალ რჩეულთ. პარტიულმა ორგანიზაციებმა უურადღებით უნდა მოუსმინონ მასების ხმას, გულდასმით შეისწავლონ ყოველი ძვირფასი წინადადება, სწრაფად და სწორად გამოეხმაურონ კრიტიკულ შენიშვნებს.

არჩევნები დიდ მოთხოვნებს უყენებს პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც მოწოდებული არიან ამომრჩეველთა შორის პოლიტიკურ მუშაობაში ჩაბმან თავიანთი საუკეთესო ძალები. პრესას, რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიას მართებთ განსაკუთრებული ოპერატიულობა საარჩევნო კამპანიის ყოველმხრივ გაშუქებაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს არჩევნების ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომზადებას. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ თვითეული დეტალი. საჭიროა ყველა ზომა მივიღოთ ამომრჩეველთა სიების საბოლოოდ დახაზუსტებლად. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არ დარჩეს არც ერთი მოქალაქე, რომელიც სიაში არ იქნება შეტანილი. ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩავაბათ საარჩევნო კომისიების წევრები, აგიტატორები, აქტივისტები.

ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ერთხელ კიდევ ცხადყოფს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, მშრომელთა მზადყოფნას, ამისათვის რომ ამრავლონ წარმატებანი კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საკავშირო-სამშობლო დაგეგმვის დარგში დამსახურებისათვის და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საგეგმო ორგანოების 50 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1971 წლის 24 მაისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების მუშაკთა ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 15 კაცი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით — 28, შრომის წითელი დროშის ორდენით — 142, „სპარტიო ნიშნის" ორდენით — 204, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 82 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 101 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებსა" და ადგილობრივ პრესაში.

მოგილოცავთ, მეგობრებო!

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაკების დაჯილდოება

სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის დარგში დამსახურებისათვის და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საგეგმო ორგანოების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა:

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში

ლენინის ორდენით

ჯაფარიძე ერმალო მინას-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე.

შრომის წითელი დროშის ორდენით

კეშელავა დავით ვიქტორის-ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

მიქელაძე ირაკლი სოლომონის-ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

რთველიაშვილი ირსეგ გიორგის-ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

„სპარტიო ნიშნის" ორდენით

გოკიელი მაგდალინა გაბრიელის ასული — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილე.

დოლიძე ბორის ბესარიონის-ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

შელხი ირაკლი სერგის-ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის"

ბეჟანიშვილი გლადიმერ ივანეს-ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

გოგიბერიძე სარდიონ სილოვანის-ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ეკონომისტი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

ბრიაბსკაია ლიუბოვ დავითის ასული — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

ჩერტოვა პრასკოვია ივანეს ასული — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შეკრიკი.

ხალხის კანდიდატები

ნოვატორი ზეინკალი გრიგოლ ყურუა

თბილისს დიზიტრონის სახელობის საავიაციო ქარხანაში სახელი გაითქვა ზეინკალმა გრიგოლ ყურუამ. ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა იყო, პირველად რომ მივიდა იგი ამ საწარმოში. მას შემდეგ 17 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში იგი თავისი საქმის ნამდვილი დიდოსტატი კახდა. მასზე ულიკი ვის შეუძლია იყოდეს მანქანის ყოველი კვანძი, ყოველი დეტალი, მისი მახვილი თვალი მაშინვე შეინიშნავს ნაკლსა და ხარვეზს. ეს შემოქმედი კაცი მუდამ ახლის ძიებაშია, ხელ იმაზე ზრუნავს, რა სიახლე და გაუმჯობესება შეიტანოს საწარმოო პროცესში. მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მისი 8 რაციონალიზატორული წინადადება დაინერგა ქარხანაში, რამაც 2890 მანეთი მოგება მისცა საწარმოს.

ამჟამად გრიგოლ ყურუა ხუთწლედის პირველი წლის ვალდებულებას დღის დღ დაკალებებს 150-160 პროცენტით ასრულებს.

მშობლიური ქარხნის მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა, ამხანაგებმა და მეგობრებმა სიყვარული და პატივისცემა თავიანთი კოლეგისადმი იმით გამოხატეს, რომ წინასაარჩევნო კრებაზე იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს.

ამ მაღალ ნდობას სახელოვანმა ზეინკალმა ახალი მრომითი წარმატებებით უპასუხა. ამ დღეებში მისმა ბრიგადამ კიდევ უფრო უმაღა შრომის ტემპს.

ს უ რ ა თ ზ ე: ბ. ფურეს.

ფოტო ბ. ბოგოსლოვსკისი.

ხუთწლედი — ვალდებულებანი

ზრდის ინტენსიფიკაციის ენთუზიაზმი

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების ახალი ვალდებულებანი

საქართველოს ჭარხნების, ფაბრიკებისა და კომბინატების კოლექტივებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა მშრომელების თაოსნობას და კისრულობენ ახალ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს:

გორის ბამბეულის კომბინატი

კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა მთლიანად პროდუქციის გამოშვების 1971 წლის საწარმოო გეგმა შეასრულოს 21 დეკემბრისათვის და წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 1.650 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია, მათ შორის 100 ათასი კრძივი მეტრი მუა ქსოვილი. რეალიზაციის გეგმა შეასრულოს 1.650 ათასი მანეთის გადაჭარბებით, მიიღოს 100 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. 2 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულოს შრომის ნაყოფიერების გეგმა.

კოლექტივს განზრახული აქვს დაზოგოს 50 ტონა ბამბა, 300 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 50 ტონა პირობითი სათბობი. რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად მიიღოს 200 ათასი მანეთი პირობითი წლიური ეკონომიური ეფექტი.

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა

ქარხნის კოლექტივმა განიზრახა ერთ წელიწადში რამდენიმე ათეული ათასი ტონით გადიდოს ნედლეულის გადამუშავების მოცულობა ტექნიკური ღონისძიებების დანერგვის, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესების გზით. პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა შეასრულოს 25 დეკემბრისათვის.

მიიღოს 1 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება დამატებითი პროდუქციის გამომუშავების, ენერგორესურსების, სათბობისა და მასალების ეკონომიის გზით და 100 ათასი მანეთი — ნავთობის ხარისხოვანი გადამუშავების ძვირადღირებული კომპონენტების საანგარიშო ნორმების შემცირებისა და უფრო რენტაბელური პროდუქციის უზეგეგმითი გამომუშავების გზით.

შრომის ნაყოფიერება გადიდოს 0,6 პროცენტით; დაზოგოს 450 ტონა სათბობი, 350 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 3.500 კუბმეტრი კალორია თბოენერგია. რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად მიიღოს 125 ათასი მანეთი პირობითი წლიური ეკონომია.

ქარხნის კოლექტივის ვალდებულებებით გათვალისწინებულია აკრეფილ ღონისძიებაში ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვისათვის.

ცხინვალის ქარხანა „ვიბრომანქანა"

ქარხნის კოლექტივი ითვალისწინებს 1971 წლის დავალება შეასრულოს 25 დეკემბრისათვის, დამზადოს და გაასალოს 40 ათასი განეთის ზეგეგმითი პროდუქცია. დამზადოს 3,1 ათასი მანეთის სახალხო მოხმარებისა და საოჯახო საქონელი. სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმის გადაჭარბებისა და ქარხნის მუშაობის რენტაბელობის დონის ამაღლების გზით მიიღოს 5,2 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

წარმოების, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ახალი ტექნიკის და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის გზით უზრუნველყოს საქონლო პროდუქციის მოცულობის 0,4 პროცენტი მატება დაგეგმილ დონესთან შედარებით. 1,9 პროცენტით გადაჭარბოს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის გაანგარიშებულ დონეს.

საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა უზრუნველყოს მოწყობილობის ვადამდე მიწოდება ასამუშავებელი მშენებლობებისათვის. დანერგოს ზეგეგმითი კომპლექსურ-მექანიზებული ხაზი ასაწყობ-შესადუღებელ წარძღვებში, გეგმის გადამეტებით დანერგოს ხახშირორკანგის გარემოში შესადუღი, დასადგარი და მთელი რიგი ახალი ტექნოლოგიური პროცესები.

რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად მიიღოს 11 ათასი მანეთი პირობითი წლიური ეკონომია, დაზოგოს ხუთი ტონა შავი ლითონები, 1,9 ტონა ფერადი ლითონები და 5,5 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

თბილისის № 1 ფეხსაცმელის ფაბრიკა „ისანი"

მეფეხსაცმლეებმა გადაწყვიტეს პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა 60 ათასი მანეთის გადაჭარბებით შეასრულონ, ხოლო ხუთწლედის დამლევს 1,5 მილიონი ძახეთით გადიდოს პროდუქციის რეალიზაციის ხოცულობა. შრომის ნაყოფიერება წელიწადში გადიდდება 4 პროცენტით, ხუთწლედის განმავლობაში კი 20 პროცენტით.

ფაბრიკის კოლექტივი აპირებს პირველი ხარისხის ფეხსაცმელი გეგმის გადამეტებით გამოუშვას წლისა და ხუთწლედის განმავლობაში შესაბამისად 0,4 და 2 პროცენტის გადაჭარბებით, ხუთწლედის პირველ წელს გეგმის გადამეტებით აითვისოს შვიდი ახალი მოდელი ფეხსაცმელი და კალაფოტის ფასონი, ხოლო ხუთწლედის განმავლობაში — 40 ახალი სახეობისა.

წლის განმავლობაში დაიზოგება 1.250 ათასი კვადრატული დეციმეტრი საპირე ტყავის საქონელი, 850 ათასი სასარჩულე ტყავის საქონელი, 600 ათასი — ხისტი ტყავის საქონელი, 220 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 180 ტონა პირობითი სათბობი, 28 ათასი მანეთის დამზმარე მასალები. 1971 წელს დაზოგილი მასალებისაგან შეიკერება 60 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

ფაბრიკის მუშაკები უზრუნველყოფენ, რომ თვითეულ სამუშაო ადგილზე ხისტელი ხარისხით სრულდებოდეს პროდუქციის ტექნოლოგიური პროცესები.

ახალი ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო დავალება შეასრულონ 30 დეკემბრისათვის. წლის განმავლობაში მეიმუშაოს და გამოუშვან სამი არტიკულის ფეხსაცმელი საუკეთესო საბჭოური და საზღვარგარეთული ნიმუშების დონეზე.

თბილისის კვეჯის კომბინატი „განთიადი"

კომბინატის კოლექტივის ვალდებულებაა პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა შეასრულოს 25 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გამოუშვას 150 ათასი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება გადიდოს 1,5 პროცენტით, სახელმწიფოს მისცეს 80 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება. (საქდესი).

ლენინიზმის დროშით

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობა

პრაღა, 25 მაისი. (საქდესის სპეციალური კორესპონდენტები ნ. კოლესნიკი, ბ. კრაევსკი). დღეს მიღითხობით ჩეხისა და სლოვაკის მთელი ყურადღება მიმართულია პრაღისაკენ, ყრილობათა სასახლისაკენ, სადაც მუშაობა დაიწყო ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მორიგმა XIV ყრილობამ. ყრილობა შეიკრიბა ღირსსახსოვარ დღეებში, როცა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტები, მთელი ხალხი, მომძლე კომუნისტური და მუშათა პარტიები აღნიშნავენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის სახელოვან 50 წლისთავს. ორმაგი დღესასწაულის გამო პრაღის ქუჩები მორთულია ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ალმებით, პლაკატებით, ტრანსპარანტებით, პანოებით, რომლებიც ადიდებენ პარტიის იუბილეს. XIV ყრილობას, სოციალიზმის მშენებელი ჩეხოსლოვაკიის მშრომელი ხალხის წარმატებებს, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას.

ხალხესასწაულად მორთულია ყრილობათა სასახლის დარბაზი. სცენის თავზე მოჩანს მოწოდების სიტყვები: „ლენინური გზით ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ახალი ყვავვიებისაკენ". დღეს აქ მეიკრიბა 1.200 დელეგატი — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტთა მიღიონიანი არმიის წარმომადგენელნი. დარბაზში არიან ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის წარმომადგენლები, საზღვარგარეთელი სტუმრები.

...პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და წევრობის კანდიდატები, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, სლკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრები, კომუნისტური და მუშათა პარტიების იმ დელეგაციათა ხელმძღვანელები, რომლებიც ჩამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობაზე, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ორგანიზაციათა წარმომადგენელნი.

ყრილობის დელეგატები და სტუმრები მეკუხარე, ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელებს, მომძლ პარტიათა დელეგაციებს. გაისმის შეძახილები „გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიას"!, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!", „ვამბა!".

მოკლე შესავალი სიტყვით ყრილობა გახსნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ.

ნ. ვ. პოდგორნი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში გაემგზავრა

25 მაისს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტისა და არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარის ანვარ სადათის მიწვევით არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით გაემგზავრა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი. ნ. ვ. პოდგორნისთან ერთად გაემგზავრნენ სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე არმიის გენერალი ი. გ. პავლოვსკი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ნ. ვ. პოდგორნი გაეცილნენ ამხანაგებმა ა. ბ. კირილენკომ, კ. ტ. მაზუროვმა, დ. ს. პოლიანსკიმ, ი. ვ. ანდროპოვმა, პ. ნ. დემიჩევმა და სხვებმა. (საკდესი).

შეხვედრა იმპერატორ ნორილსკეს

ნორილსკი, 24 მაისი. (საკდესი). დღეს აქ, 69-ე პარალელზე გაშენებულ ქალაქში, ტამკენტიდან ჩამოვიდა კანადის პრემიერ-მინისტრი პიერ ელიოტ ტრიუდო. მასთან ერთად ჩამოფრინდნენ მისი თანამხლები საბჭოთა და კანადელი ოფიციალური პირნი. ნორილსკელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს სპატიო სტუმარს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის კლენუმი

გაიმართა საქართველოს თეატრალური საზოგადოების VII ყრილობის მიერ არჩეული გამგეობის პირველი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. ანთაძე. თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულია გ. ოაკაშვილი, მოადგილედ — ბ. სიხარულიძე, პასუხისმგებელ მდივნად — რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჩხეიძე.

გაიმართა საქართველოს თეატრალური საზოგადოების სარევიზიო კომისიის სხდომა. კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. ბაქრაძე. (საქდესი).

თბილისი — ბუდაპეშტი

25 მაისს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ვ. ბუხრაშვილმა მიიღო ბუდაპეშტის საქალაქო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია. დელეგაციაში შედიან საქალაქო საბჭოს საგარანტპორტო სამმართველოს უფროსი რუდოლფ ნადი, კომუნალურ მეურნეობათა და მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის სამმართველოს უფროსი ანდორ გალგანი, მეტროპოლიტენის დირექტორი კაროი ხიდვეგი, მეტროპოლიტენის ინჟინერი იმტვან სტრედი.

თბილისსა და ბუდაპეშტს შორის მტკიცე მეგობრული ურთიერთობაა. ამ ურთიერთობას მრავალმხრივი ხასიათი მიეცა. ორი წლის წინათ უნგრეთის დედაქალაქს ეწვია თბილისის საქალაქო საბჭოს დელეგაცია. ახლა საქართველოს დედაქალაქში ჩამოსული უნგრელი ამხანაგები ეცნობიან თბილისის საქალაქო მეურნეობის ორგანიზაციის გამოცდილებას. სტუმრებმა დაათვალიერეს მეტროპოლიტენის სადგურები და დეპო, ესაუბრნენ ტრანზვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშაკებს, დაათვალიერეს ქალაქის ახალშენებანი და ღირსშესანიშნაობანი.

შ. ვ. ბუხრაშვილმა ბუდაპეშტის წარმომადგენლებს ეაცნო თბილისის მშენებლობისა და კეთილმოწყობის გენერალური გეგმა, პირველი რიგის ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაზე მუშაობენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოები.

სტუმრებმა თითქოს მეორედ იმოგზაურეს ქალაქში — მათ უჩვენეს მოკავშირეობიანი ფერადი ფილმი „თბილისი".

რუდოლფ ნადმა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი მიულოცა თბილისის საქალაქო საბჭოსა და რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებს ბუდაპეშტის საქალაქო საბჭოს სახელით. მან თქვა, რომ დელეგაციის წევრები კმაყოფილად არიან თბილისში და ქალაქში ძალზე შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა. თბილისის საქალაქო მეურნეობის გაცნობა, აღნიშნა მან, ჩვენთვის მეტად სასარგებლო იყო.

ამბ. ბუხრაშვილმა თქვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქალაქო მეურნეობის დარგში მუშაობის გამოცდილების ურთიერთ გაზიარებას. მან ბუდაპეშტის საქალაქო საბჭოს დელეგაცია მოიწვია საქართველოს დედაქალაქში. (საქდესი).

ყრილობის გადაწყვეტილებანი—ცხოვრებაში!

მუშებლიური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, ახალი ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელება იმ დიდი მიზანია, რომლითაც ახლა ცხოვრობს და შრომობს თვითეული კომუნისტი, თვითეული საბჭოთა ადამიანი.

მასების დიდ ენერგიას კი ყოველდღიურად წარმართავენ მრავალრიცხოვანი პირველადი პარტიული ორგანიზაციები — ჩვენი პარტიის ძირითადი რგოლები. ისინი ხომ ყველაზე ახლოს არიან წარმოებასთან, თვითეულ კოლექტივთან.

სწორედ იმ მიზნით, რომ უფრო უკეთ გააშუქოს პირველადი პარტორგანიზაციების მოღვაწეობა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, აგრეთვე ფართოდ გაავრცელოს და განაზოგადოს შეძენილი მოწინავე გამოცდილება, „კომუნისტის“ ფურცლებზე შემოღებულია მუდმივი განყოფილება „პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის ტრიბუნა“. დღეს ასეთი რუბრიკის ქვეშ ვბეჭდავთ წერილს ქალაქ გორიდან.

რედაქცია სთხოვს პირველადი პარტიული ორგანიზაციების, ბიუროების, კომიტეტების მდივნებს, პარტიულ აქტივისტებს გაზეთის ფურცლებზე მოგვითხრონ თავიანთი ორგანიზაციების პრაქტიკულ, ცოცხალ საქმეებზე.

ველით თქვენს წერილებს, ძვირფასო მეგობრებო!

კომუნისტის პირადი მაგალითი

მენინგრადში მეტია მუშაობა დაამთავრა სკკპ XXIV ყრილობამ, მაგრამ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების თვითეული დღე ახლაც მკაფიოდ გამოხატავს იმ ფიქრებსა და გრძნობებს, რომლებითაც ისინი იყვნენ გამსჭვალულნი ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა დიდი ფორუმის პერიოდში. პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებამ, რომელიც ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა, და ყრილობის გადაწყვეტილებებმა საბჭოთა ადამიანების მზურვალე გამოძახილება გამოიწვია. დაიწყო დიდი შემართება კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის ხვალინდელი ნათელი დღისათვის.

„ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, — ნათქვამია პარტიის XXIV ყრილობის რეზოლუციაში, — რომ უზრუნველყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე“.

ვ. ი. ლენინი ეკონომიკას ყველაზე საინტერესო პოლიტიკას უწოდებდა. ჩვენი კომპინატის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა კარგად ვიცით დიდი ბელადის ამ სიტყვების ფასი: რაც უფრო ნაყოფიერად გიშრომებთ, მით უფრო მოვაასწრებთ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებას.

ახალი ხუთწლედით დიდი ამოცანებია დასახული ჩვენი კოლექტივის წინაშე. წელს უნდა გამოვუშვათ 56.357 ათასი მანეთის პროდუქცია. წელსვე ვაწარმოებთ 7.508 ტონა ნართს, 67.100 ათას მეტრ ხამსა და 68.400 ათას მეტრ გამოყენილ ქსოვილს.

გორელ ფეიქრებს, რომლებმაც წარმატებით გაანაღდეს საყრილობო სოციალისტური ვალდებულებანი, არც შემდგომ შეუნელებიათ შრომის ტემპი. მათ ყრილობის დამთავრების შემდეგ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს დიდძალი ნართი, ხამი და მზა ქსოვილი; რეალიზებულია ათასობით მანეთის პროდუქცია.

ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს საამქრო პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომუნისტებმა. ისინი ღრმად სწვდებიან წარმოების კონკრეტულ საკითხებს, უჭვნებენ პირად მაგალითს, სათავეში უდგანან სოციალისტურ შეჯიბრებას, ხელს უწყობენ მასების აქტივობის გაძლიერებას.

კარგად გვესმის, რომ წარმატების მიღწევის ერთ-ერთი მთავარი პირობაა ადამიანთა სწორი განაწილება. ამიტომ წარმოების გადამწყვეტ უბნებზე ვავიზავნეთ ენერგიული, საქმისმცოდნე კომუნისტები, რამდენიმე ათეული კაცი სამმართველო აპარატიდან წარმოებაში გადავიდა, დაწესდა მკაცრი კონტროლი პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, რაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს არა მარტო პარტიულმა ორგანიზაციებმა, არამედ პარტიულმა ჯგუფებმა და ცალკეულმა კომუნისტებმა. განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. ტატიანაშვილმა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა კ. ბესტავაშვილმა.

როგორც ცნობილია, ამ ხუთწლედში დიდი ყურადღება მიექცევა მოძველებული ტექნიკის განახლებასა და მოდერნიზაციას. ასამოქმედებელი ახალი საწარმო ფონდების წილი 1975 წელს მრეწველობაში მიაღწევს 46 პროცენტს, რაც ამაღლებს წარმოების ტექნიკურ დონეს. მსუბუქ მრეწველობაში გამოსაშვები პროდუქციის მოცულობა 35-40 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ეს გვავალებს წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ.

ამ მიმართულებით მთელი რიგი სამუშაოები განხორციელდება ჩვენს საწარმოშიც. ყრილობის მასალებს რომ განიხილავენ, საამქრო პარტორგანიზაციათა, პარტიული ჯგუფების კრებებზე კომუნისტები აყენებენ წინადადებებს, რომ როგორც სართავსაქსოვ, ისე გამომყვან ფაბრიკებში ფიზიკურად და მორალურად მოძველებული მანქანები შეიცვალოს ახალი დიდი წარმადობის ტექნიკით, დაინერგოს ავტომატიზაცია. გათვალისწინებულია ასევე ხუთწლედში კომბინატში დაიდგას 172 საჩეჩი, 30 საგარცხნ-საჩეჩი, 26 ვარცხნილი არშიის მისაღები სალენტე მანქანა, 6 ლენტშემპარებელი მანქანა, 5 საფათელი, 212 სართავი მანქანა, 99 სართავ-საგრეხი მანქანა, 1.664 ანვიმორაპირული და ავტომატური საქსოვი დაზგა.

ახალ ტექნიკას მიიღებს გამომყვანი ფაბრიკაც. აქ დაიდგმება 10 საზომ-საკეცი, 3 ღინღლსაკრეჭ-შემტუსავი და ერთი სამრისერიზაციო მანქანა. გაიშვება ქსოვილის რეცხვისა და ღებვის ავტომატური ხაზები. წარმოების ორთქლით უზრუნველყოფის მიზნით გაფართოვდება ამჟამად მოქმედი საქვაბე. მის შენებლობაზე გათვალისწინებულია 1.200 ათასი მანეთი.

პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებით დასახულია მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების 36-40 პროცენტით გადიდება. მისი შესრულების შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იქნება წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის გადიდებით. მაგრამ ჩვენმა, რომ ამასთანავე საჭიროა ვიუმჯობესებდეთ წარმოებისა და შრომის ორგანიზაციას, ვავრცელებდეთ მუშაობის მოწინავე მეთოდებს, ვამცირებდეთ სამუშაო დღის დანაკარგებს. ამიტომ მომავალი თვეების სამუშაო გეგმებში ვითვალისწინებთ იმ საკითხებს, რომლებიც მიმართულია კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლებისაკენ, როგორც საკუთარი თავისადმი, ისე სხვების მიმართ მომთხოვნელობის გაძლიერებისაკენ!

როგორც ცნობილია, ახალი ხუთწლედის მთავარი ამოცანაა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება. ხუთწლედში ჩვენს კომბინატშიც მთელი რიგი სამუშაოები შესრულდება ფეიქართა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. გაიზრდება სანიაბანოებისა და ადმინისტრაციული ფართის ფართობი (მათ შორის 1971 წელს — 2000, ყველა მომდევნო წელს კი — 7.000 კვადრატული მეტრი). 1972 წელს დაიწყება 700 ადგილიანი კულტურის სახლის მშენებლობა. რეკონსტრუქცია გაუკეთდება და გაფართოვდება № 7 სკოლა, აგრეთვე სანატორიუმის ტიპის ბაგა-ბაღი და ჯანის პიონერთა ბანაკი.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზი აქვს გასმული ახალი ადამიანის ფორმირების ამოცანას. ეს ამოცანეა არის, რადგან კომუნიზმი შეუძლებელია ადამიანთა მაღალი კულტურის, განათლების, შეგნების, შინაგანი სიმწიფის მაღალი დონის გარეშე. ამიტომ ჩვენი საწარმოს კომუნისტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დერძია მშრომელთა ფართო მასების კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, მათი აღზრდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით.

ახლა, როცა მიზანი ნათელია და ამოცანები გარკვეული, მთავარია პრაქტიკული მუშაობა პარტიის წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად.

ვიდგილთ ყოველდღიურ მოღვაწეობაში გამოჟეანენთ მასებზე ზემოქმედების მდიდარი არსენალი. ეორელ ფეიქრებს ვამაყობთ, რომ მათი თანამოსაქმე, კომუნისტი მრთვალი თ. საური ჩვენი სამშობლოს სხვა სახელოვან შვილებთან ერთად მონაწილეობდა პარტიის XXIV ყრილობის მუშაობაში როგორც მისი დელეგატი. თ. საურის საუბრები, რომლებითაც იგი თანამოსაქმეთა წინაშე გამოდიოდა და გამოდის, კარგი იარაღია პარტორგანიზაციის ხელში.

კომბინატის კომუნისტებს კარგად ესმით, რომ წარმოების შემდგომ ვეფეტურობას ვერ მიაღწევენ, თუ არ გამაღლეს კოლექტივში საჭირო მიზანსწრაფული აღმზრდელობითი მუშაობა, თუ მუდმივად არ ამაღლეს მუშათა ზოგადსაგანმანათლებლო და ტექნიკური დონე. ბევრი ჩვენი ამხანაგი სწავლობს მუშა ახალგაზრდობის სკოლებში, ტექნიკუმებში და ინსტიტუტების საღამოს განყოფილებებზე. კომუნისტების ინტერესებს მათი მიდწევები, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში დახმარებას უწევენ.

შეიძლებოდა ბევრი მაგალითის მოყვანა იმისა, თუ როგორ იცვლებიან ადამიანები კომუნისტთა გავლენით, როგორ პოულობენ თავიანთ ნამდვილ ადგილს კოლექტივში.

ჩვენ კარგი განწყობილებით შევედით მეცხრე ხუთწლედში. ახლა მთავარია: ვიმუშაოთ დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ, ხოლო ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს. ეს პარტიის XXIV ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელების საწინდარი.

ს. გუდაძე,

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი.

თვითეულ პარტიულ ორგანიზაციაში უნდა უზრუნველყოთ ყველა კომუნისტის აქტიური მონაწილეობა პარტიულ გადაწყვეტილებათა განხილვაში, შემუშავებასა და განხორციელებაში, განვავითაროთ პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა — ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და საქმის გაუმჯობესების ნაცადი მეთოდი.

სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციიდან.

სწავლობენ ყრილობის გადაწყვეტილებას

ფოთი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელები კვლავ უდიდესი ინტერესით ეცნობიან და სწავლობენ სკკპ XXIV ყრილობის მასალებს. ამ მასალების პროპაგანდას ორი ათასამდე აგიტატორი, პოლიტინფორმატორი და პოლიტორგანიზატორი ეწევა. ყრილობის დოკუმენტები გახდა პარტიული განათლების სისტემის ყველა რგოლის მეცადინეობის, ლექციური პროპაგანდის მთავარი თემა.

ამას წინათ გაიმართა ქალაქ ფოთის პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიული და კომკავშირული განათლების სისტემის პროპაგანდისტების, თეორიული სემინარების ხელმძღვანელებისა და კონსულტანტების თათბირ-სემინარი სკკპ XXIV ყრილობის მასალების შესწავლის, პროპაგანდისა და ახსნა-განმარტების საკითხებზე. საწარმო-დაწესებულებებში, დიდ მშენებლობებზე, მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამომრჩეველთა კლუბებში, ყველგან გაიმართა პოლიტიკური მოხსენებები და კითხვა-პასუხის საღამოები.

ზონალური სემინარი

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლში სამ დღეს გაგრძელდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ზონალური სემინარი.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ა. ტაკიძის ლექცია „სკკპ XXIV ყრილობის შედეგები და სკოლების პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“.

მოეწყო სემინარული მეცადინეობები თემებზე: პარტიული ორგანიზაციების როლი და ამოცანები სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისათვის, ზრომითი აღზრდა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია სკოლაში.

მდივანი ანგარიშს აბარებს...

ხელო. პარტიის რაიკომის ბიურომ მოისმინა სოფელ ოქტომბრის საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციის მდივნის ნ. ბუღაძის ანგარიში „სკოლის კომუნისტთა როლი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში“.

ბიურომ აღნიშნა, რომ სასკოლო პარტიული ორგანიზაცია ბევრ ქმედითსა და შინაარსიან ღონისძიებას ახორციელებს მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლებისათვის, მათი ესთეტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის გაუმჯობესებისათვის.

პარტიის რაიკომის ბიუროს განხილულ საკითხზე მიიღო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს როგორც სოფელ ოქტომბრის, ისე რაიონის სხვა სკოლებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას.

ა. ბერიძე.

ხალხის ნდობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი მცხეთის რაიონის № 80 მუხრანის საარჩევნო ოლქში სოფელ მუხრანის კოლმეურნეობის მებოსტნე **როზა მიხეილის ასულ ტატიშვილი** შეხვდა თავის ამომრჩეველებს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, სოფელ მუხრანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **გ. ხუტაშვილმა.**

სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს სოფელ მუხრანის კოლმეურნეობის ბრიგადირს **მ. თინიკაშვილს.** მან შეკრებილთა გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია, მისი სახელოვანი შრომითი საქმეები. რ. მ. ტატიშვილი გულმოდგინედ უვლის ნარგავებს, წარმატებით იყენებს აგროტექნიკის მოწინავე ხერხებს და ყოველწლიურად იწევს ბოსტნეულის უხვ მოსავალს. ხალისით უზიარებს გამოცდილებას ახალგაზრდებს. თავმდაბალმა მშრომელმა, აქტიურმა საზოგადოებრივმა მუშაკმა რ. ტატიშვილმა თანასოფლელების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ნდობით აღჭურვილმა პირმა შეკრებილთ მოუწოდა არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კოლმეურნე გლეხობის ღირსეულ წარმომადგენელს რ. მ. ტატიშვილს.

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ქსოვრისის საბჭოთა მეურნეობის ზოოტექნიკოსმა ამავე საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა **ზ. მახარაშვილმა,** წილკანის საშუალო სკოლის დირექტორმა **ჟ. ბიზანოვამ,** ახალგაზრდა ამომრჩეველმა **ლ. ჭულუაშვილმა,** რომელიც პირველად მონაწილეობს არჩევნებში და სხვებმა. მათ ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ არჩევნების დღეს ხმას მისცემენ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს და ამით ხმას მისცემენ სამშობლოს შემდგომ აყვავებას, მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებას.

დეპუტატობის კანდიდატმა **რ. მ. ტატიშვილმა,** მხურვალე მადლობა გადაუხადა ამომრჩეველებს დიდი ნდობისათვის.

სოფელ გულრიფშის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სადღესასწაულოდ მორთულ კულტურის სახლში შეიკრიბნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გულრიფშის რაიონის № 351 გულრიფშის საარჩევნო ოლქის მშრომელები.

ისინი შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ამ ოლქში სოფელ გულრიფშის კიროვის სახელობის

ამომრჩეველთა შეხვედრები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

◆

კოლმეურნეობის მოწინავე მეთამბაქოეს **სვეტლანა სარქისის ასულ გრიგორიანს.**

შეხვედრა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა **კ. ვერიამ.**

სიტყვას იღებს ნდობით აღჭურვილი პირი, სოფელ ბაგაპოჩტის საშუალო სკოლის დირექტორი **ა. დავთიანი.** მან ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის შრომითს საქმეებზე, მის მონაწილეობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალგაზრდული მგზნებარებით შრომობს კომკავშირელი სვეტლანა გრიგორიანი. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდაა, იგი არ ჩამორჩება უხვი მოსავლის სახელმოხვეჭილ ოსტატებს, გადაჭარბებით ასრულებს მოსავლიანობის გეგმებს, იძლევა მხოლოდ საუცხო ხარისხის ნედლეულს.

შეხვედრაზე გამოსულმა ამხანაგებმა სოფელ გულრიფშის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ეკონომისტმა **გ. კვარაცხელიამ,** ამავე კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა **ზ. აჩოიანმა,** სოფელ გულრიფშის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა **ნ. სიჭინავამ** და სხვებმა ს. გრიგორიანი დაახასიათეს როგორც სოფლის მეურნეობის მშრომელთა ახალგაზრდა თაობის სახელოვანი წარმომადგენელი.

შეხვედრის დასასრულს **გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ხ. ს. გრიგორიანი.** მან მადლობა გადაუხადა ამომრჩეველებს დიდი ნდობისათვის და თქვა, რომ ყოველ ღონეს იხმარს, რათა პირნათლად შეასრულოს ყველა მათი განაწესი.

თბილისის 86-ე საშუალო სკოლაში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის № 56 ნაკაბრალის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლის პირველ მოადგილესთან **ივანე ივანეს-ძე იურპოლსკისთან,** რომელიც კენჭს იყრის ამ ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, 26 კომისარიატ-საჩეჩი, 26 ვარცხნილი არშიის მისაღები სალენტე მანქანა, 6 ლენტშემპარებელი მანქანა, 5 საფათელი, 212 სართავი მანქანა, 99 სართავ-საგრეხი მანქანა, 1.664 ანვიმორაპირული და ავტომატური საქსოვი დაზგა.

ახალ ტექნიკას მიიღებს გამომყვანი ფაბრიკაც. აქ დაიდგმება 10 საზომ-საკეცი, 3 ღინღლსაკრეჭ-შემტუსავი და ერთი სამრისერიზაციო მანქანა. გაიშვება ქსოვილის რეცხვისა და ღებვის ავტომატური ხაზები. წარმოების ორთქლით უზრუნველყოფის მიზნით გაფართოვდება ამჟამად მოქმედი საქვაბე. მის შენებლობაზე გათვალისწინებულია 1.200 ათასი მანეთი.

პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებით დასახულია მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების 36-40 პროცენტით გადიდება. მისი შესრულების შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იქნება წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის გადიდებით. მაგრამ ჩვენმა, რომ ამასთანავე საჭიროა ვიუმჯობესებდეთ წარმოებისა და შრომის ორგანიზაციას, ვავრცელებდეთ მუშაობის მოწინავე მეთოდებს, ვამცირებდეთ სამუშაო დღის დანაკარგებს. ამიტომ მომავალი თვეების სამუშაო გეგმებში ვითვალისწინებთ იმ საკითხებს, რომლებიც მიმართულია კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლებისაკენ, როგორც საკუთარი თავისადმი, ისე სხვების მიმართ მომთხოვნელობის გაძლიერებისაკენ!

როგორც ცნობილია, ახალი ხუთწლედის მთავარი ამოცანაა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება. ხუთწლედში ჩვენს კომბინატშიც მთელი რიგი სამუშაოები შესრულდება ფეიქართა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. გაიზრდება სანიაბანოებისა და ადმინისტრაციული ფართის ფართობი (მათ შორის 1971 წელს — 2000, ყველა მომდევნო წელს კი — 7.000 კვადრატული მეტრი). 1972 წელს დაიწყება 700 ადგილიანი კულტურის სახლის მშენებლობა. რეკონსტრუქცია გაუკეთდება და გაფართოვდება № 7 სკოლა, აგრეთვე სანატორიუმის ტიპის ბაგა-ბაღი და ჯანის პიონერთა ბანაკი.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზი აქვს გასმული ახალი ადამიანის ფორმირების ამოცანას. ეს ამოცანეა არის, რადგან კომუნიზმი შეუძლებელია ადამიანთა მაღალი კულტურის, განათლების, შეგნების, შინაგანი სიმწიფის მაღალი დონის გარეშე. ამიტომ ჩვენი საწარმოს კომუნისტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დერძია მშრომელთა ფართო მასების კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, მათი აღზრდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით.

ახლა, როცა მიზანი ნათელია და ამოცანები გარკვეული, მთავარია პრაქტიკული მუშაობა პარტიის წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად.

ვიდგილთ ყოველდღიურ მოღვაწეობაში გამოჟეანენთ მასებზე ზემოქმედების მდიდარი არსენალი. ეორელ ფეიქრებს ვამაყობთ, რომ მათი თანამოსაქმე, კომუნისტი მრთვალი თ. საური ჩვენი სამშობლოს სხვა სახელოვან შვილებთან ერთად მონაწილეობდა პარტიის XXIV ყრილობის მუშაობაში როგორც მისი დელეგატი. თ. საურის საუბრები, რომლებითაც იგი თანამოსაქმეთა წინაშე გამოდიოდა და გამოდის, კარგი იარაღია პარტორგანიზაციის ხელში.

კომბინატის კომუნისტებს კარგად ესმით, რომ წარმოების შემდგომ ვეფეტურობას ვერ მიაღწევენ, თუ არ გამაღლეს კოლექტივში საჭირო მიზანსწრაფული აღმზრდელობითი მუშაობა, თუ მუდმივად არ ამაღლეს მუშათა ზოგადსაგანმანათლებლო და ტექნიკური დონე. ბევრი ჩვენი ამხანაგი სწავლობს მუშა ახალგაზრდობის სკოლებში, ტექნიკუმებში და ინსტიტუტების საღამოს განყოფილებებზე. კომუნისტების ინტერესებს მათი მიდწევები, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში დახმარებას უწევენ.

შეიძლებოდა ბევრი მაგალითის მოყვანა იმისა, თუ როგორ იცვლებიან ადამიანები კომუნისტთა გავლენით, როგორ პოულობენ თავიანთ ნამდვილ ადგილს კოლექტივში.

ჩვენ კარგი განწყობილებით შევედით მეცხრე ხუთწლედში. ახლა მთავარია: ვიმუშაოთ დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ, ხოლო ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს. ეს პარტიის XXIV ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელების საწინდარი.

ს. გუდაძე,

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი.

თვითეულ პარტიულ ორგანიზაციაში უნდა უზრუნველყოთ ყველა კომუნისტის აქტიური მონაწილეობა პარტიულ გადაწყვეტილებათა განხილვაში, შემუშავებასა და განხორციელებაში, განვავითაროთ პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა — ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და საქმის გაუმჯობესების ნაცადი მეთოდი.

სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციიდან.

„კომუნისტის“ ფოსტიდან

● **ამბროლაური.** შორიულ მთიან სოფლებსა და საწარმო-დაწესებულებებში ფართოდ არის გაშლილი მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისთვის დაკავშირებით. ნაყოფიერად მუშაობენ აგიტპუნქტები და ამომრჩეველთა კლუბები, რომლებშიც მოწყობილია სკკპ XXIV ყრილობის მასალებისა და საარჩევნო ლიტერატურის გამოფენები.

ამ დღეებში რაიონის აგიტატორთა და პოლიტინფორმატორთა წინაშე პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის, საბჭოების შემდგომი ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ ამბროლაურის რაკომის პირველი მდივანი **შ.** ბიბილაშვილი.

ა. კეთილაძე.

● **ცხაკაია.** სოფელ ფოცხოში რამდენიმე მრავალშვილიანი დედა ცხოვრობს და აქტიურად მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში. მარუსია მირცხულავას ჰყავს თოთხმეტი შვილი, თ. მირცხულავას — 10, ცხრა-ცხრა შვილი ჰყავთ თ. ჟურაშვილს, ზ. სანაიასა და ნ. ნინუას, მ. დადუნაშვილი რვა შვილს დედა, თ. ყურაშვილი — ექვსი შვილისა.

ბ. ბულუა.

● **ასპინძა.** ნაქალაქევს ეს ტუმრა ახალციხის ხარაგონო კულტურის სახლის კოლექტივი და ხასოფლო კლუბში გამართა ხალამო-კონცერტი, მიძღვნილი არჩევნებისადმი.

სოფლის მშრომელთა ჯულთბილი მადლობა დაიმსახურეს სიმღერების, ხეტეჩრბისა და მინიატიურების შესრულებლებმა.

შ. მესხი.

● **ონი.** რაიკოოპერატივის გამგეობამ (თავმჯდომარე ვ. ყაკლაშვილი) საქონელბრუნვის ზრდასა და გეგმების წარმატებით შესრულებასთან ერთად უკანასკნელ ხანს ბევრი ახალი ობიექტი შემატა სავაჭრო ქსელს. ახლახან ქალაქში გაიხსნა და საიუბილეოდ ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე ორი ცეხი. ეკეთილმოწყობილი სასაუზმე-ავიალონი და სასურსათო მაღაზია.

ნ. დუშაშვილი.

● **ფალატაკო.** სოფელ ტაჯირის მცხოვრებთა შორის სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს ფოსტალიონი პარმენ ჯანელიძე, რომელიც 36 წელია ემსახურება ამ საქმეს. „ყეთილ მაცნეს“ ყოველთვის დროულად და შეუფერხებლად მიაქვს სოფლის მშრომელებისათვის ეურნალ-გაზეთები, ამანათები, დეპეშები, პენსიები და სხვა საფოსტო გზავნილებანი.

ა. ნიკოლეიშვილი.

„კომუნისტი“
№0-2 ბევრდ, ოთხშაბათი, 26 მაისი, 1971 წ.

ეს დღეები ჩაის კლანტაციებში

აჭარის ჩაის პლანტაციებში ხარისხოვანი ფოთლის კრეფა მთელი ძალით გაჩაღდა. პლანტაციებში ერთ-ერთი პირველთაგანი გავიდნენ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლის კოლმეურნეები. ამ კოლმეურნეობის მეჩაიეთა შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მომდინარე სეზონში 750 ტონა ხარისხოვანი ნედლეულის მიღებისათვის. ეს გეგმით გათვალისწინებულს 50 ტონით აღემატება. 70-80 კილოგრამ ფოთოლს კრეფენ დღეში კოლმეურნეობის საუკეთესო მკრეფავები ნაზი მალაქმაძე და ნათელა აბესლამიძე. სურათებზე: ჩაის კრეფა სოფელ წინსვლის კოლმეურნეობაში. წინა პლანზე მ. მალაქმაძე (მარცხნივ) და ნ. აბესლამიძე.

ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქდენის ფოტოქრონიკა).

ტემპი მატულობს

ქარბად შრომობენ ამ დღეებში მესხარაძის რაიონის მაჩაიეები. უკვე მოკრეფილია და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 8.186 ტონა ჩაის ნედლეული. კრეფის ტემპი ყოველდღე ძლიერდება. 24 მაისს რაიონში მოკრეფილი იყო 830 ტონა „მწვანე ოქრო“, 25 მაისს — 871 ტონა, ხოლო მარტო გუშინ ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარეს 900 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული.

პირველი დღიდანვე მუშაობის კარგი ტემპი აიღეს ნატანების, შრომის, ასკანისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა, ლაითურის საბჭოთა მეურნეობამ.

ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა სვეტლანა ნიკოლაიშვილმა უკვე მოკრიფა 2 ათასი კილოგრამი ფოთოლი. მან გუშინ მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 25 კილოგრამისა. სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, სოციალისტური შრომის გმირმა ტატიანა ჩხაიძემ ერთ დღეს მოკრიფა 70 კილოგრამი ფოთოლი და ამით გეგმას 35 კილოგრამით გადააჭარბა. ვაკიჯვრის კოლმეურნეობის წევრმა გუგული ქერქაძემ გუშინ მოკრიფა 50 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 25 კილოგრამისა, სოფელ ბახვის კოლმეურნეობის მეჩაიემ კაკალა სალუქვაძემ — 49 კილოგრამი. მან დღეში 25 კილოგრამი ფოთოლი უნდა მოკრიფოს, „მწვანე ოქროს“ კრეფის დღიური ნორმაა. ეს ნორმაგად ასრულებს. ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილმა მეჩაიემ დარეჯან ტაკიძემ გუშინ ნაცვლად 25 კილოგრამისა მოკრიფა 55 კილოგრამი ფოთოლი.

(„კომუნისტის“ კორ.).

მექანიზებული კრეფა

უკანასკნელ დღეებში კარგად მიმდინარეობს ბუჩქების ვეგეტაცია. **ზუგდიდელი** მეჩაიეები მასობრივად გავიდნენ პლანტაციებში და შემოსული ფოთოლს შეუფერხებლად კრეფენ. რაიონში უკვე მოიკრიფა 8 ათას ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული. მარტო გუშინ მოკრეფილ იქნა 600 ტონაზე მეტი ფოთოლი.

ჩაის კრეფასთან ერთად ხდება მოკრეფილი ფოთლის გადაზიდვა ფაბრიკებში და მისი გადამუშავება.

ბეჯითად მუშაობენ სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“, ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის, ნარაზენის, კახათის, ჯიხაშკარის, შამგოხის, წაქვეხლის და სხვა სოფლების კოლმეურნეობების, ხეცერის, ნარაზენის, აბასთუმნის საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეები.

რაიონის მშრომელებს წელს გადაწყვეტილი აქვთ მნიშვნელოვნად გაადიდონ ჩაის ფოთლის მექანიზებული აღების მოცულობა. პირობის შესრულება დაიწყო. ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოთი“ ოცი აღებულია 650 ტონამდე ჩაის ნედლეული.

(„კომუნისტის“ კორ.).

შრომის მაღალი ეფექტურობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში საბჭოთა კავშირის ორდენები და მედ

მსოფლიო დღე

მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდება

25 მაისი. (საკდესი). „მეგობრობა კომუნისტურ იდეოლოგიაზე დაფუძნებულ დიდ სოციალისტურ სახელმწიფოსა და ეროვნულ ანტიიმპერიალისტურ სახელმწიფოს შორის, რომელმაც სოციალიზმის აშენების ლოზუნგი გამოაცხადა, ყოველთვის იქნება ჩვენი ხალხების ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა“, — წერს გაზეთი „ალ-აჰრარი“ საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის თანამშრომლობისადმი მიძღვნილ სტატიაში.

ქაიროს ყოველკვირეული „როზელ-იუსეფი“, რომელიც უკანასკნელ ნომერში დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა კავშირ-არაბეთის ურთიერთობას და სსრ კავშირის პოზიციას ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში, აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ურთიერთობას „საფუძვლად უდევს პრინციპული საკითხები და მასზე გავლენას ვერ მოახდენენ შემთხვევითი ფაქტორები“.

„ყოველკვირეული ამხილებს იმ ანტისაბჭოური კამპანიის მონაჭორებს, რომელიც გააჩაღეს ისრაელმა, სიონისტთა ლიდერებმა და იმპერიალისტურმა, განსაკუთრებით ამერიკულმა, პროპაგანდამ, და აღნიშნავს, რომ ამ ცილისმწამებლური კამპანიის მიზნია საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მტკიცე ანტიიმპერიალისტური კურსი.

სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური პოზიციების დამთხვევა, წერს „როზ ელ-იუსეფი“, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ნოემბრის რეზოლუციის განხორციელების საკითხში, რაც ითვალისწინებს ისრაელის მთელი ჯარების გამოყვანას ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან, განსაზღვრავს საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის თანამშრომლობის სიმტკიცეს.

„ჩვენი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, — ხაზს უსვამს ყოველკვირეული „როზ ელ-იუსეფი“, კვლავაც განვითარდება და განმტკიცდება ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების საფუძველზე“.

ლა-კაპი

გოლივიის კამგეგი

25 მაისი. (საკდესი). ბოლივიაში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა მას შემდეგ, რაც გამოამეღავნეს მემარჯვენეთა შეთქმულება, რომლის მიზანი იყო პრეზიდენტ ხუან ხოსე ტორესის მთავრობის დამხობა.

როგორც უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოთა კორესპონდენტები დედაქალაქ ლა-პასიდან იტყობინებიან, შეთქმულებაში ჩარეული იყვნენ მემარჯვენე პარტიები — ნაციონალისტური რევოლუციური მოძრაობა, ბოლივიის სოციალისტური ფალანგა და რეაქციულად განწყობილ სამხედრო პირთა ჯგუფი, რომელიც წელს უკვე ორჯერ შეეცადნენ მოეხდინათ გადატრიალება და ხელთ ეგდოთ ძალაუფლება. მათი უკანასკნელი შეთქმულება გამოამჟღავნეს მუშათა და სტუდენტთა ორგანიზაციებმა.

მინისტრთა კაბინეტის საგანგებო თათბირის შემდეგ, რომელიც დილამდე გრძელდებოდა, მთავრობამ მთელ ქვეყანაში შემოიღო საგანგებო წესები და საბრძოლოდ გამაშადა ჯარები.

ნიუ-იორკი

სასამართლო კვლავ გაძლიერდა

25 მაისი. (საკდესი). კვლავ გადაიდო ანჯელა ედვისის და რიჩარდ მოჯის „საქმის“ წინასწარი მოსმენა სან-რაფელის (კალიფორნიის შტატი) საოლქო სასამართლოში.

მოჯიმ აცილება მისცა მოსამართლე რიჩარდ არნასონს. ეს უკვე მეექვსე მოსამართლეა ხელისუფალთა მიერ შეთითხნილ პროცესზე. წინა მოსამართლეები „საქმის“ წარმოებას ჩამოაცილეს იმ საფუძველზე, რომ ისინი რასისტულ შეხედულებებს ადგენენ და ობიექტური ვერ იქნებიან.

ტელევიზიის ლენტიდან

● ბრძოლის [illegible]

[illegible] ტელევიზიის [illegible] ტელეფონის ქვეყანაგური. ღამის სროლა ინვალელთა პატრულსა და მცველთა ჯგუფს შორის მოხდა ბელფასტში, სადაც დღისით ბომბის აფეთქებით დაიჭრა 19 კაცი.

საკდესი-ასოშიეიტედ პრესი.

ბოლოდ

● ბრაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის და არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარის ანვარ სადათის გადაწყვეტილებით, არაბთა სოციალისტური კავშირის გენერალური სამდივნოს დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე აზიზ სიდკი შეასრულებს არაბთა სოციალისტური კავშირის გენერალური მდივნის მოვალეობას არაბთა სოციალისტური კავშირის საყოველთაო-ეროვნული კონგრესის სესიამდე, რომელიც წელს 28 ივლისს უნდა გაიხსნას.

● ინდოეთის მთავრობას განზრახული აქვს გადაჭრით აღკვეთოს იმ ელემენტთა ძალადამამთხრელი საქმიანობა, რომლებიც ადვილებენ რელიგიურ-თემურ შუღლს. ეს პრეს-კონფერენციაზე განაცხადა ინდოეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მდივანმა გოვინდ ნარაიანმა.

● ნაფიც მსაჯულთა ეიურომ ზანგთა ორგანიზაციის „შავი ავაზის“ ლიდერების ბობი სილისა და ერიკა ჰაგინსის პროცესზე, რომელიც მიმდინარეობს ნიუ-ჰეიენში (კონექტიკუტის შტატი), განაცხადა, რომ „არ შეუძლია და ვერც შეძლებს შეთანხმებას ბრალდებულთა დამნაშავეობის თაობაზე“. ამასთან დაკავშირებით მოსამართლემ გამოაცხადა, რომ გასამართლება შეწყვეტილია. ამერიკის კანონების თანახმად, თუ ეიური საქმის გარჩევის დამთავრების შემდეგ ჩიხში იქცევა, პროცესი წყდება, და გასამართლების ახალი თარეღის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვთ მოგვიანებით.

● ფორტ-ბრაგის (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) სამხედრო ბაზის შვიდ ოფიცერს „წინადადება მიეცათ“ გადადგნენ. სხვა ოფიცრებთან ერთად მათ ხელი მოაწერეს მოწოდებას, რომელიც ფასიანი განცხადების სახით დაბეჭდა გაზეთმა „ფეიეტვილ ობსერვერმა“. ამ განცხადებაში მოუწოდებენ ბოლო მოუღონ ომს და ამერიკამ გაიყვანოს მთელი თავისი ჯარები ვიეტნამიდან. მიმდინარე წლის [illegible]

ფაქტები

ტელევიზორი

ეროვნული კრების სხდომა

25 მაისი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კრების სხდომაზე ეროვნული კრების თავმჯდომარემ კაფუს დეპუტატს წაუკითხა პრეზიდენტ ანვარ სადათის წერილი ქვეყნის შუდმივი კონსტიტუციის შემუშავების საკითხზე.

მან თქვა, რომ ეროვნული კრების წევრებისაგან შეიქმნება მოსამზადებელი კომიტეტი 50 კაცის შემადგენლობით, რომელიც 23 ივლისისათვის მოამზადებს კონსტიტუციის პროექტს. პროექტში გათვალისწინებული იქნება ის დებულებანი, რომელებსაც შეიცავდა ეროვნულ კრებაში პრეზიდენტ ანვარ სადათის ამასწინანდელი გამოსვლა.

სხდომაზე აირჩიეს ეროვნული კრების თავმჯდომარის ორი ახალი მოადგილე — მუსტაფა მურადი და ჰასან ტოლბა.

მეგობრობა ცეილონში

25 მაისი. (საკდესი). მდგომარეობა ცეილონში თანდათან ნორმალური ხდება. „შეიარაღებული ძალების ქვეგანყოფილება და პოლიცია კვლავ ჩხრეკენ ჯუნგლებს ქვეყნის ცალკეულ რაიონებში და სპობენ ამბოხების უკანასკნელ კერებს“, — ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაში.

ამავდროულად, როგორც ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც იარაღი დაყარეს, 9 ათასს აღემატება. პრესა იუწყება, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, კერძოდ გლეხები, ეხმარებიან უშიშროების ძალებს შეამბოხეთა დამორჩილებასა და მათი ბაზების მოსპობაში.

როგორც ცნობილი გახდა, შირდაპირმა ზარალმა, რომელიც შეამბოხეებმა ეროვნულ ეკონომიკას მიაყენეს, 200 მილიონი რუპია შეადგინა.

ინფექციების დასამარცხებლად

ეპიდემიოლოგთა, მიკრობიოლოგთა და ინფექციონისტთა XV სრულიად საკავშირო ყრილობა

25 მაისს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში მუშაობა დაიწყო ეპიდემიოლოგთა, მიკრობიოლოგთა და ინფექციონისტთა მე-15 სრულიად საკავშირო ყრილობამ, რომელიც მოიწვიეს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და საბჭოთა კავშირის ი. ი. მეჩნიკოვის სახელობის ეპიდემიოლოგთა, მიკრობიოლოგთა და ინფექციონისტთა სამეცნიერო საზოგადოებამ.

ყრილობაზე ჩამოვიდნენ სამეცნიერო სტუმრები — საზღვარგარეთის ქვეყნების თვალსაჩინო მეცნიერები, რომელთა შორის არიან სოფიის ქერმთა დასელოვნების ინსტიტუტის ვირუსოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი ლუბომირ შინდაროვი და სოფიის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი სტამბირა რანგელოვა, უნგრელი პროფესორი ოშტვან ვეიდეში, ვერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კონსულტანტი-ეპიდემიოლოგი პროფესორი თეოდორ კიმა, პოტსდამის ოლქის ჰიგიენის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი კელერი (გდრ), მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ეპიდემიოლოგი ტანგადინ გომბოსურენი, იუგოსლავიის ნიშის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ეპიდემიოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი ჩედომირ ველინკოვიჩი, ბულგარეთის სამედიცინო აკადემიის ინფექციურ დაავადებათა კათედრის გამგე პროფესორი პეტრე ბორნინი.

ხუთი დღის მანძილზე პლენარულ და სექციურ სხდომებზე ყრილობის დელეგატები მოისმენენ ასზე მეტ მოხსენებას ეპიდემიოლოგიის ზოგად საკითხებზე.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ, საბჭოთა კავშირის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ. ბურგასოვმა.

ყრილობის პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. გოგიჩაიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ო. ჩერქეზია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი დ. ნიკიტინი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვ. ტიმაკოვი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, პროფესორი გ. ბოჭორიშვილი, სომხეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, პროფესორი ზ. ნარიმანოვი, სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების აღმასკომის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გენერალი ნ. ტროიანი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ო. ბარეოიანი, ა. ბილიბინი, ვ. ედანოვი, ა. სმოროდინცევი, ი. როგოზნიანი, ნ. ჭუკოვ-ვერეტენნიკოვი, ვ. სოლოვიოვი, რუსეთის თვალსაჩინო მეცნიერი მედიკები და პრაქტიკოსი ექიმები.

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით ყრილობის მონაწილეებს მიესალმა ამბ. ვ. სირაძე.

პირველ პლენარულ სხდომაზე პროფესორმა პ. ბურგასოვმა გააკეთა მოხსენება „სსრ კავშირში ინფექციურ დაავადებათა შემდგომი შემცირებისა და ლიკვიდაციის დარგში მუშაობის შედეგები და ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი ამოცანები“.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, პროფესორი ვ. ბოჭორიშვილი თავის მოხსენებაში შეეხო საქართველოს სს რესპუბლიკაში ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობასა და პერსპექტივებს.

მიკიენისტთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ფ. ჯრომკინამ წაიკითხა მოხსენება თემაზე „ინფექციურ დაავადებათა შემცირებისა და ლიკვიდაციის პრობლემის მიკიენური ასპექტები“.

ეპიდემიოლოგიის თანამედროვე ამოცანები გააშუქა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, სოციალისტური შრომის გმირმა ლ. გრომაშევსკიმ.

ეპიდემიოლოგთა, მიკრობიოლოგთა და ინფექციონისტთა 15-ე სრულიად საკავშირო ყრილობა 29 მაისამდე იმუშავებს. (საკდესი).

ოლიმპიადა

ერთიანი ევროპა

25 მაისი. (საკდესი). ევროპის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა სპილენძის ნაბადოების ნაციონალიზაციის პროექტს. სპილენძი — ქვეყნის ძირითადი სიმდიდრე, ამერიკული კომპანიების გამდიდრების წყარო, სახელმწიფოს ხელში გადავა. მთელ რიგ ნაბადოებში, სადაც წარმოებას ჩილელი სპეციალისტები ჩაუდგნენ სათავეში, საგრძნობლად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. ჩილელი მშრომელი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონი ხდება.

...მიწის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეულია ჩილეს რესპუბლიკაში. მთავრობის გადაწყვეტილებამ აგრარული რეფორმის გატარების შესახებ მსხვილი მემამულეების სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია. ისინი ყოველნაირად ცდილობენ შეაფერხონ რეფორმის მსვლელობა, მაგრამ გლეხები მთავრობის დახმარებით იკავებენ მემამულეთა უქმად დატოვებულ მიწებს და აწყობენ მიწის ერთობლივი დამუშავების კოოპერატივებს.

ჩილეს ეკონომიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სპილენძის მრეწველობასაც. ეს ინდუსტრია ბოლო ორ-სამ წელიწადში 2.200 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ეს ასეთ ფიცრულებში, რომლებშიც ან არის ელემენტარული პირობები, ცხოვრობენ ჩილელი მუშები.

ბუენოსაიერესი. ბრეზილიის ტაპიუას მაშულის მუშებმა გამოაკრეს ლოზუნგი, რომელიც მოუწოდებს გატარდეს აგრარული რეფორმა.

ფოტო ანალი ამბების სააგენტოსი.



ფოტოინფორმაცია

ეროვნული ანგარიშები

25 მაისი. (საკდესი). ეროვნული ანგარიშების ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სოციალური კონფლიქტი საფრანგეთში მუშების გამოჯვებით დამთავრდა.

25 დღის გაფიცვის შემდეგ დღეს მუშაობას განაახლებენ ქარხანა „რენოს“ ავტომობილშენებლები ქალაქ ლე-მანში (სარტის დეპარტამენტი). ჩარხებთან მივლენ ავრეთვე მათი ამხანაგები სოფრანგეთის ავტომობილის მწარმოებელი ამ უდიდესი ფირმის სხვა საწარმოებში.

მუშაობის განახლების გადაწყვეტილება მიიღეს გაფიცულთა საერთო კრებაზე. მას შემდეგ, რაც პროფკავშირთა წარმომადგენლებმა მათ გააცნეს ადმინისტრაციასთან მოლაპარაკების შედეგები. მეტი წილი მოთხოვნებისა, რომლებიც მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ეხება, „რენოს“ დირექციამ დააკმაყოფილა, დანარჩენებს შემდგომში განიხილავენ.

ინდოეთი

ინდოეთის მთავრობას

ეროვნული ანგარიშები

ეროვნული ანგარიშები

ეროვნული ანგარიშები

ბრძოლავიწყებია მოყვრისა...

იწერებოდა ბრძოლის ველზე

დიდი ილია ჯარისკაცებს გაბედულად ამღერებს:

„...მაშ მამულს თავი შეევწიროთ საშველად, გამოსახსნელად,
თუ მისთვის დავიხოცებით,
ჩვენ ის გვეუოფა სახელად...“

ეს პატრიოტული სიტყვები თამამად შეეძლო გაემღერებინა თერჯოლის რაიონის სოფელ თუხის მკვიდრს შალვა ისაკის-ძე სახეჩიძეს. იგი იყო სამშობლოს მეზნებარე მოსიყვარულე, ჯანღონით სავსე ჭაბუკი, რომელმაც თავისი სიცოცხლე დაუნანებლად შესწირა სამშობლოს.

შალვა ოჯახის ერთადერთი შვილი იყო. შვიდი კლასი თუზში დაამთავრა, ხოლო საშუალო სკოლა—ჭიათურაში. ახოვანი და ჯანშეკავარი ახალგაზრდა იყო. უყვარდა ჭიდაობა და ფეხბურთი. მისი წამქცევი ჩვენს უბანში არავინ იყოო, — იგონებენ მეზობლები და ნაცნობ-ამხანაგები.

პატრიოტი ახალგაზრდა 1939 წლის შემოდგომაზე წავიდა საბჭოთა არმიაში. გულმოდგინედ ეუფლებოდა სახსედრო ხელოვნებას. იგი გამოიწერთო თეთრფინელებთან მკაცრ ბრძოლაში. დიდმა სამამულო ომმა შალვას არმიაში მოუსწრო. თავდაუზოგავად ებრძოდა ვერაგ მტერს. მისი უსაზღვრო პატრიოტიზმი და თავდადება იერძნობა მშობლებისა და მახლობლებისათვის გამოგზავნილ წერილებში. იქ ნათლად, მკაფიოდ მოჩანს ახალგაზრდა ვაჟკაცის სპრძოლო სულისკვეთება, მამულისათვის თავგანწირვა, სამშობლოს გადასარჩენად სიკვდილის არარად ჩაგდება. მოვიყვანთ სტრიქონებს შ. სახეჩიძის წერილებიდან:

1940 წლის 30 მაისი: „სალამი, ძვირფასო დედა! მომენატრეთ, მაგრამ შენ იცი ჩემი მოვალეობა. შენი ოცი წლის ვაჟკაცი სამშობლოს იცავს, სდარაჯობს ხალხს, რომელმაც ის გამოზარდა. მტრები ცდილობენ შემოუტიონ ჩვენს ბედნიერ სამშობლოს და ხელში ჩაიგდონ, მაგრამ არავინ მისცემს ამის საშუალებას. ჩვენს სამშობლოს იცავს მრავალი საბჭოთა პატრიოტი, სამშობლო, რომელიც მოიპოვა ჩვენმა ხალხმა, მედგრად უნდა დაგიცვაო“...

იმავე თვეში ბიძაშვილს აბბერკის სწერს: „მომენატრა მშვენიერი საქართველო, მეგობრები, ამხანაგები და, რაც მთავარია, ჩემი მშობლები. როგორ მიხდება წითელარმიელის ტახსაცმელი და შაშხანა. გაგიკვირდება, ისე დავაკაკაცებული და მბარბეჭიანი გავხდი, ჩემი ცქერით ვერ გაძლები... ბედნიერებაა თავი შესწირო წმიდათა წმიდა საზღვარს, საყვარელ ხალხს და სტალინს“...

დადგა საბედისწერო ჟამი, დაიწყო დიდი სამამულო ომი. პატრიოტულმა ბარათებმა იმატა. შალვა იმასნაგ მშობლიურ მოსკოვს იცავდა. საშშობლოსათვის მძიმე დღეებში იგი არ შემდრკალა.

1941 წლის 29 ივლისი. შალვა წერს: „ჯაბისმჭამელი ფაშისტები არ იძლევიან საშუალებას, რომ საბჭოთა ადამიანებმა თავისუფლად და ბედნიერად იცხოვრონ. სისხლიან ფაშისტებს სურთ დაიპყრონ ჩვენი მიწა-წყალი, მაგრამ საბჭოთა ხალხი, ჩვენი გმირი წითელი არმია დაიცავს სამშობლოს არ არის იმაზე მეტი ბედნიერება, რომ იცავდე შენს სამშობლოს, რომელიც ერთადერთ შვილს, რომელიც იცავდა სამშობლოს სიწმინდეს და არსებობას... ყველაფერი შესაძლებელია. შეიძლება თქვენს შავთვალება შვილს შავმა სიკვდილმა დღე მოუსწროფოს, შეიძლება ფაშისტის ტყვიისაგან განგმირულმა გულმა ძგერა შეწყვიტოს. მხოლოდ იცოდეთ, რომ ქართველი კაცი არასოდეს ზურგს არ უჩვენებს მტერს. თუ დავიღუპე, მხოლოდ გმირულად დავიღუპები... უკვე ლეიტენანტი ვარ...

არასოდეს არ დაგივიწყებთ. მე მხოლოდ ორი ფიქრი მაქვს: დავიცვა სამშობლო და გამარჯვებული დავბრუნდე ოჯახში. მეოლდეთ. აუცილებლად, გამარჯვებული დავბრუნდები, აუცილებლად შეგვხვდებით ერთმანეთს“...

სამშობლომ გაიმარჯვა, მაგრამ შალვა ვერ მოესწრო გამარჯვების ზეიმს. ქართველი ვაჟკაცი მამაცთა სიკვდილით დაეცა. 1943 წლის მეორე ნახევრიდან შალვას წერილები შეწყდა...

მშობლები ელოდნენ შალვას. ისინი სამი-ოთხი წლის წინათ გარდაიცვალნენ, თან წაიღეს ვაჟკაცი შვილის დარდი. მათ სწამდათ, რომ მათი პირმშო ლაჩრულად არ დათმობდა სიცოცხლეს...

შალვას მხნე, ოპტიმისტური წერილები დაცულია თერჯოლის რაიონის შინმოუსვლელთა დიდების მუზეუმში. ამ წერილებიდან ბევრს ისწავლის ახალგაზრდობა... შალვას სახელი უკვდავია მის მშობლიურ სოფელშიც. სახეჩიძეების უბანში ორი ჭიქა ღვინოც რომ დაიღიოს, უსათუოდ იტყვიან შინმოუსვლელთა შესახდობარს. დედისერთა შალვას სახელი ვის დაავიწყდება?!

ჭეშმარიტად, არ კვდებიან ვაჟკაცები, რომლებმაც სიცოცხლე სამშობლოს, ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებას შესწირეს.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სპორტი

დიდი მატჩის პოლოდინში

ინტერვიუ ლევ იაშინთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 მაისს ფეხბურთის მოყვარულები უკანასკნელად იხილავენ სახელგანთქმული მეკარის თამაშს: დიახ, ასეა, მაგრამ რა გაეწყობა, წლებს თავისი მიაქვს...

დიდი ფეხბურთიდან მიდის მეკარე-ნოვატორი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, მსოფლიო ნაკრების მეკარე ლევ იაშინი.

გადავწყვიტე გვიან ღამით მისთვის შინ დამერეკა.

— ლევ ივანეს-ძე სახლში არ გახლავთ! — მოკლედ მიპასუხა ქალმა, — რა გადაეცე?

— მაპატიეთ ქალბატონო, უთხარით, საქართველოს გაზეთ „კომუნისტის“ დავალებით ვრეკავდი.

— საქართველოს გაზეთის? თუ ასეა, ეგებ მოვიძებნოთ (ხმაში ღიმილის ტონი ვიგრძენი). ერთი წუთიც, და ყურმილი ლევ ივანეს-ძემ აიღო. შევთანხმდით, მეორე დღეს მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა წვრთნას უნდა დავსწრებოდი. აქვე მოხდებოდა ჩვენი შეხვედრა.

ვარჯიშის მხოლოდ დამთავრებას მივეუსწარი. დინამოელთა გუნდს ბესკოვი და იაშინი წვრთნიდნენ. როცა ფეხბურთელები დაიშალნენ, იაშინმა ჩვეული ადგილი დაიკავა კარში. ბესკოვი და გუნდის მეორე მწვრთნელი გოლოდიცი ბურთს ახლო მანძილიდან ურტყამდნენ. ისეე გავხდი მომსწრე იაშინის სოცკარი თამაშისა. თვალწინ გამიქროლა მაცოლის, ბუცეკის, ჰამრინის და კოსტარჩის თერთმეტმეტრიანმა დარტყმებმა, სადაც იაშინი გამარჯვებული გამოდიოდა, და აი ახლა ეს ყველაფერი თითქოს გრძელდება...

დაცარიელებული მოედანი, ცარიელი ტრიბუნები, ლევ იაშინი კარის ძელს მიეყრდნო, ისვენებდა. ამაზე უკეთეს დროს სადღა ვნახავდი. მის გვერდით აღმოვჩნდი. შემომხედა, ხელი ჩამომართვა, გასახდელისაკენ წავედით, ოფლში გაღვრილი სკამზე ჩამოჯდა, სიგარეტს მოუკიდა.

რედაქციის სახელით თაიგული და ძველებური ქართული დოქი გადავეცი, ბოთლით ჩვენებური ტყემლის საწებელიც მივართვი.

— იგაშენა ღმერთმა! — ტყემალი ძალინ მიყვარს. მერე ღიმილით დუმდა: — ცოტა ტარხუნა და წიწმატიც რომ წამოგეღო, კარგს იზამდა... თითქოს სითბო დაიღვარა. ორივე ვიცინოდით...

— ლევ ივანეს-ძე, ჩვენთან მოწევა აკრძალულია! — მოხუცი დამლაგებელი ქალი მოგვიახლოვდა.

იაშინი წამოდგა. თვალი ჩამიკრა. მოხუც ქალს მიუბრუნდა:

— ალბათ დღეს დაკიდეს ეს წარწერა (კედლისკენ გაიხედა), ბოდიშს ვიხდი.

ვაძლევ რამდენიმე შეკითხვას.

— ფეხბურთის თამაში ადრე დავიწყე. ჯერ იყო და დილიდან საღამომდე ჭიჭის ბურთს დავდევდი. სწორედ ჭიჭის ბურთმა მიმიყვანა ჩემთვის ჯადოსნური სამყაროს ზღურბლთან, რომელსაც შესანიშნავი სახელი — ფეხბურთი ჰქვია.

1943 წელს მოსკოვის ერთ-ერთი ქარხნის გუნდში დავიწყე თამაში. პირველი მწვრთნელი ძია ვალოდია ჩეჩეროვი იყო. დიდი რუსული მადლობა მინდა გადავუხადო. მან შემასწავლა და შემაყვარა ფეხბურთის ანბანი. 1949 წლიდან კი მოსკოვის „დინამოს“ შემადგენლობაში ვარ. მახსოვს, როცა პირველად გამომძახეს გაგრაში, საწვრთნელ შეკრებაზე, ერთმა მეგობარმა მითხრა: — მიგლინებიდან, ალბათ მალე დაბრუნდებიმ.

მივლინება კი, როგორც ხედავთ, დღესაც გრძელდება...

— თქვენი პირველი მატჩები?

პირველი შეხვედრა მოსკოვის „სპარტაკთან“ ფრედ 1:1 დამთავრდა. მეორე თამაში თბილისს დინამოელებთან გვქონდა. მახსოვს, თქვენი ბიჭები 1:4 აგებდნენ. და აი, 15 წუთის განმავლობაში პაიჭაძემ და თოდრიამ ანგარიში გაათანაბრეს... გაიზუმდა, რაღაცას იგონებდა — დიდი პატრიოტი, მოქალაქე და განუმეორებელი ფეხბურთელი იყო ბორის სოლომონის-ძე. ისევ გაიზუმდა. — უწინ ისე ეტანებოდა ხალხი პაიჭაძის, ფედოტოვის, ბობროვის თამაშს, როგორც დიდი თეატრის სპექტაკლებს... ახლა სადღა ნახავთ ასეთ სანახაობებს.

— რას იტყვით ქართულ ფეხბურთზე?

— ქართული ფეხბურთი საბჭოთა ფეხბურთის ავანგარდში დგას. როგორ შეიძლება ქებადიდებით არ მოიხსენიო ქართველი ფეხბურთელები, რომლებმაც არა ერთი გამარჯვება მოუტანეს საბჭოთა სპორტს. აი ისინი: პაიჭაძე, დოროზოვი, ღლობერიძე, ანთაძე, ჭკუასელი, მესხი, ზოხელი, მეტრეველი, იამანიძე, ხურცილავა და სხვები. ყოველთვის ხინანულით ვგიგონებ თქვენს შესანიშნავ 35-ე საფეხბურთო სკოლას. ვის მოუვიდა აზრად ასეთი სკოლის დაბურვა (დავწერე კიდევაც ამის შესახებ „ფუტბოლ-ჰოკეის“ ფურცლებზე).

— ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნაკრები, რომელშიც თქვენ გითამაშიათ?

— 1959-1962 წლების ნაკრები. დღესაც ტკბილ მელოდიასავით ვიგონებ თავდასხმის ხუთეულს: მეტრეველი, ივანოვი, პოხედელნიკი, ბუბუკინი, მესხი.

— თქვენი საუკეთესო საფეხბურთო ხეზონი?

— 1963 წელი. ამ წელს საბასხოვრო პრიზი — „ოქროს ბურთი“ გადმომცეს, როგორც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს.

ჩემამდე ამ პრიზის მფლობელები იყვნენ ფეხბურთის ვირტუოზები, — მეტიუზი, და სტეფანო, კოპა, სუარესი, სივორი, მასოპუსტი.

— ლონდონში გამართულ „საუკუნის მატჩზეც“ მაისურზე თქვენი კლუბის პირველი ასო გიბრწყინავდათ?

— მე ქედს ვიხრი მშობლიური კლუბის წინაშე. მხოლოდ და მხოლოდ მოსკოვის „დინამოს“ კლუბმა გამხადა მოქალაქე, საბჭოთა სპორტსმენი. ამის დავიწყება როგორ შეიძლება! ფეხზე წამოდგა, გაიმართა, მკერდზე ამკერადაც უბრწყინავდა „დინამო ს“ პირველი ასო...

— გადიოდა წლები, — გაგრძელდა იაშინმა, — ბევრი ახალი რამ გავიგე, ბევრი გაუგებარი მრჩებოდა, კითხულობდი, ვსწავლობდი, წიგნები, წიგნები, ახლა თვითონ მივალ, როგორ ვაწერ ეგდი ყველაფერს, მე ხომ ოჯახი მყავს — მეუღლე, ორი გოგონა. მინდა უფრო ხშირად ვიყო მათთან. მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მოგზაურობისას ვეცნობოდი ყველაფერს, სინტეტიკურსა კინოფირზე ვიღებდი. ვეცნობოდი სხვადასხვა ხალხის ადათს, წესს, კულტურას. ფეხბურთელი მხოლოდ მოედანზე კი არ უნდა ფიქრობდეს, საჭიროა ყოველთვის ახსოვდეს, რომ ის პირველ ყოვლისა ადამიანია, მოქალაქე.

ფეხბურთს ყველაფერი შევწირე — ახალგაზრდობაც და ძალღონეც. თავდავიწყებით მიყვარდა და მიყვარს, ჩემი ანგებთაღელვის საგანი ფეხბურთია. მხოლოდ ასეთი თავდავიწყებით გატაცება არის საწინდარი დიდი გამარჯვებისა. ასეა ფეხბურთში, ასეა ცხოვრებაში...

— ალბათ გიმძიმთ ტყვიის ბურთთან განშორება?

— 25 წლის მეგობრობა მაკავშირებს ბურთთან. მართალია, ბევრჯერ გაუცურებივარ, გინ მოსთვლის რამდენი უძლიერესი გამითენებია, მაგრამ უფრო მეტად ბედნიერ დღეებს მოვსწრებივარ, გულით გამიხარია, გამარჯვების მწველარალი ერთად დაგვიყრია.





ახა როგორ შეიძლება უღალატო და მარტო დატოვო ამდენი ხნის მეგობარი?

— რას იტყვით 27 მაისს თქვენს გამოსათხოვარ მატჩზე?

ჩემთვის ეს დიდი პატივისცემა და დიფაღება, მაყურებელთათვის კი დიდი ფეხბურთის კიდევ ერთი დღე. ამ დღეს ხომ მსოფლიოს ნაკრებს საბჭოთა კავშირის „დინამოს“ ნაკრები ხვდება.

შემდეგ იაშინი გაჩუმდა. ეტყობა დაიღალა, დიდი მადლობა გადავუხადე. ლევ ივანეს-ძემ ხელი ჩამომართვა და ნელი ნაბიჯებით გასწია...

იაშინი მიდის!..

დ. მაჭავარიანი,
მოსკოვი.

* * *

სურათებზე: ლევ იაშინი საქართველოდან მიღებული ნობათებით (ქვემოთ, მარცხნივ); სახელგანთქმულ მეკარეს ამ დღეებში უამრავი წერილები მოსდის (ქვემოთ, მარჯვნივ); წვრთნის შემდეგ (ზემოთ).

ფოტოები ა.პტრისა და საქ.ფეს ფოტოქრონიკი.

სტუდენტებს ქალა შესწევთ...

ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისათვის

სტუდენტთა ფიზიკური აღზრდა მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანული ნაწილია. ამიტომაც უმაღლეს სასწავლებლებში მას ისეთსავე მნიშვნელობას ანიჭებენ, როგორსაც სხვა სპეციალობებს.

ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც ფიზკულტურულ საქმიანობას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სწავლების საერთო პროცესში და იგი საგალდებულო საგნადაც არის ფორმდგენილი. ყველა კურსზე კვირაში 4 საგალდებულო საათია დაწესებული, ამასთანავე დიდი მუშაობაა გაწეული სპორტულ კლუბში, რომელსაც კათედრა და სპორტული კლუბის გამგეობა ხელმძღვანელობენ.

სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან ფიზკულტურულ მუშაობაში ჩაბმულია 98 პროცენტი, სპორტულ კლუბთან მუშაობს 29 ჯგუფი, რომლებშიც გაერთიანებულია 315 სპორტსმენი. ჩვენთან პოპულარობით სარგებლობს მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ხელბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, ტყვიის სროლა, ვოლოსპორტი, ფარიკაობა,

განსაკუთრებით გამოირჩევა ინსტიტუტის ათას არსებული მშვილდოსანთა გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს თადარიგის პოდპოლკოვნიკი შ. ჯაშიაშვილი. ეს გუნდი წარმატებით გამოდის საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. ინსტიტუტის ყოფილი ფრიალოსანი სტუდენტი, ამჟამად მათემატიკის კათედრის ლაბორანტი, სპორტის ოსტატი ქეთევან ლოსაბერიძე რესპუბლიკის ჩემპიონი და რეკორდსმენი. საქართველოს მშვილდოსანთა ნაკრები გუნდი მთლიანად ჩვენი ინსტიტუტის სპორტსმენებით არის დაკომპლექტებული. ახლა ეს გუნდი გაცხოველებით ემზადება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის.

ჩვენი სტუდენტი იამზე ტყაბლაძე საქართველოს ოთხგზის ჩემპიონია შაშში. სპორტის ოსტატი ანზორ ქურასპელიანი პროფკავშირთა საკავშირო ჩემპიონია ჭიდაობა სამბოში, ხოლო ტყვიის მსროლელი ლალი შარაშენიძე ვერცხლის მედლის მფლობელია. მარტო მიმდინარე წელს ინსტიტუტის მწვრთნელმა მასწავლებელმა სპორტის ხუთი ოსტატი მოამზადა. თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების საქმეში თავი ისახელეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გ. ჩიქოვანმა, მშვილდოსნების მწვრთნელმა შ. ჯაშიაშვილმა, მწვრთნელმა ვეფოსპორტში დ. ქათამაძემ, ტყვიის სროლაში — ა. კოვზირიძემ და სხვებმა.

რესპუბლიკურ უნივერსიადაზე ჩვენი ინსტიტუტის დელეგაცია სპორტის 15 სახეობაში გამოდიოდა 129 სტუდენტით და საქართველოს 8 პედაგოგიურ ინსტიტუტს შორის მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, ხოლო 18 უმაღლეს სასწავლებელს შორის — მეხუთე. ამ წარმატებებს ხელი შეუწყო როგორც ინსტიტუტის შიდასაკურსო, საფაკულტეტო და ინსტიტუტის შეჯიბრებების რეგულარულმა მოწყობამ, ისე საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ცალკეული სპორტსმენებისა და გუნდების მონაწილეობამ.

წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ასპარეზობებში მონაწილეობა მიიღო 10 ათასამდე სტუდენტმა. ვფიქრობთ ჩვენი მშვილდოსნები სახელოვნად დაიცავენ საქართველოს სპორტულ ღირსებას საკავშირო სპარტაკიადაზე. ამის თავდებია ის ენერგიული მუშაობა, რასაც გუნდის წევრები ეწევიან.

საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ჩვენი ინსტიტუტიდან შედის აკრეთვე სპორტის ოსტატი ნინაბოსნობაში სტუდენტი ჯ. გოგოლიჩიძე. სპარტაკიადისათვის კარგად ემზადებიან ჩვენი მოკრივეები, საქართველოს ნაკრების წევრები მ. სვანიძე და თ. ლორთქიფანიძე, მოჭიდაკეები რ. ირემაძე და ზ. ჩიხლაძე, მძლეოსანი პ. კოვზირიძე.

ეს წარმატებები მოპოვებულია ფიზკულტურის კათედრის, სპორტული კლუბის, რეკტორატის, ფაკულტეტების დეკანებისა და პარტიულ-პროფკავშირულ-კომკავშირული ორგანიზაციების სერიოზული მუშაობის შედეგად. ვეიდებით მომავალშიც მეტი წარმატება გვქონდეს ფიზკულტურის სწავლებასა და სპორტული დოსტატების საქმეში, უფრო ავამაღლოთ მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, მეტი რაოდენობით მოვამზადოთ რესპუბლიკის ნაკრები გუნდებისათვის სპორტის ოსტატები.

პ. მეძველია,
ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი
პროფესორი.

პრეტენდენტთა მატჩები

ჯიუბნერმა ბრძოლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გროსმაისტერმა რობერტ ჰიუბნერმა უარი განაცხადა ტიგრან პეტროსიანთან მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩის გაგრძელებაზე. როგორც ასოციეიტედ პრესის სააგენტო სეგოლიიდან იუწყება, რ. ჰიუბნერმა მოიმიზეზა ნერვიული გადაღლა. მთავარმა მსაჯმა ინგლისელმა ჰარი გოლომბეკმა დასავლეთგერმანელ მოჭადრაკეს შესთავაზა ტ. პეტროსიანთან ეთამაშა ცალკე ოთახში, მაყურებელთა დაუსწრებლად. რ. ჰიუბნერმა ამაზეც უარი განაცხადა.

ამის შედეგად მატჩში გამარჯვება ტ. პეტროსიანს მიენიჭა.

დაუმარცხებელი მხოლოდ ორია

სან-პაულოში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები კალათბურთში ქალთა გუნდებისათვის. წარმატებით გამოდიან საბჭოთა კალათბურთელები, რომლებმაც ოთხი შეხვედრა ოთიგეს ზედიზედ. მეოთხე მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი 88:69.

შეუპოვარი გამოდგა ბრაზილიისა და იაპონიის გუნდების მატჩი. შეხვედრის ბოლო გადაწყვიტა ერთადერთმა ქულამ, გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა 77:76.

ამრიგად, ჩემპიონატზე დაუმარცხებლად მხოლოდ ორი ნაკრებია იბრძვის. ესენი არიან სსრ კავშირისა და ბრაზილიის გუნდები.

ფეხბურთელთა ასპარეზობა

„ა“ კლასის მეორე ჯგუფი

გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მეოთხე ზონის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები.

„დინამო“ (სოხუმი) — „მაშინოსტროიტელი“ (ვოლოგოლსკი) 1:0, „მეურეხეული“ (ბახჩისარაი) — „ხიმმაშინიკი“ (პენზა) 1:0, „ალუმინიუმი“ (ფოთი) — „სპარტაკი“ (სარანსკი) 1:0, „დინამო“ (ბათუმი)—„დინამო“ (ვოლოგდა) 2:0, „მეშახტე“ (ტყიბული) — „დინამო“ (ქიროვი) 1:0, „ფილა“ (ბორი) — „სპარტაკი“ (ტამბოვი) 1:0, „მეტალურგი“ (როსტოვი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 2:1.

„ბ“ კლასის მეორე ჯგუფი

გაიმართა „ბ“ კლასის მეორე ჯგუფის ბოლო ორი გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები.

„ალბანეთი“ (ბაკურიანი) — „ბალტიკა“ (ბალტიისპირეთი) 1:0, „ბორბალო“ (ბორბალო) — „ბალტიკა“ (ბალტიისპირეთი) 1:0, „ბალტიკა“ (ბალტიისპირეთი